„დინამო“ (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი). სურათზე: მეორე გოლი არმიელთა კარში. ვ. გუცაევმა ძნელ მდგომარეობაში მიიღო ბურთი, მაგრამ ზუსტად დაარტყა.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

(ამ მატჩისადმი მიძღვნილი მასალა იხ. მე-3 გვ.).






## სამ სახეობაში

დოსააფის ახალციხის რაიონულმა კომიტეტმა ჩაატარა რაიონული შეჯიბრება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის პროგრამით მარშგარბენში, ტყვიის სროლასა და ხელყუმბარის ტყორცნაში. სარბიელზე 300-მდე ფიზკულტურელი გამოვიდა.

მარშგარბენში იმარჯვეს ახალციხის 1-ლი საშუალო სკოლა-ინტერნატის გოგონათა და ვალეს 1-ლი საშუალო სკოლის ჭაბუკთა გუნდებმა.

ტყვიის სროლაში ყველას აჯობეს ახალციხის მე-2 საშუალო სკოლის მოსწავლეებმა.

ხელყუმბარის ტყორცნაში პირველობა ავტო-მოტოკლუბის წევრებმა დაისაკუთრეს.

**ჰ. მაისურაძე,**
**დოსააფის ახალციხის ავტომოტოკლუბის მეთოდისტი.**

[illegible]

◆ **ზუგდიდი**

დამთავრდა მოსწავლეთა რაიონული სპარტაკიადის პროგრამით გათვალისწინებული შეჯიბრება მძლეოსნობაში. გუნდური I ადგილი დაიკავა ინგირის მე-2 საშუალო სკოლამ. II ადგილზე არიან ცაიშის სკოლის, III — ზუგდიდის საშუალო სკოლა-ინტერნატის მძლეოსნები. რვაწლიან სკოლებს შორის პირველობა ციროვის სკოლის მოსწავლეებს ხვდათ.

**ქ. ფიფია.**

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 96 (4606) 18 1972 წ. მაისი, ხუთშაბათი. ფასი 8 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 18 აპრილიდან

• •

## ფეიქრები ნორმატივებს აბარებენ

ქუთაისის აბრეშუმის საწარმოო გაერთიანების ფიზკულტურის კოლექტივი რესპუბლიკაში ერთ-ერთ მოწინავედ ითვლება. ამას მოწმობს ფეიქარი სპორტსმენების მიერ შარშან საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის პროფკავშირების რესპუბლიკურ და საკავშირო სოციალისტურ შეჯიბრებაში მასობრივ-ფიზკულტურული მუშაობის მაღალ დონეზე დაყენებისთვის მოპოვებული გარდამავალი დროშები, სპორტული ნადავლი — თასები, ვიმპელები...

ფეიქარი სპორტსმენები ქუთაისში ერთ-ერთი პირველნი გამოეხმაურნენ „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის“ ახალი კომპლექსის შემოღებას: აქტივისტებმა საწარმოებსა და საამქროებში სათანადო მუშაობა ჩაატარეს. თვალსაჩინო ადგილებზე გამოიკრა ლოზუნგები და ნორმატივების ცხრილები, ადგილობრივი რადიოგადაცემის რედაქციამ, გაზეთმა „ფეიქარმა“ ამ საქმეს სათანადო ადგილი დაუთმეს.

ნორმატივების მიმღებმა კომისიამ, რომელსაც ფიზკულტურის უფროსი ინსტრუქტორ-მეთოდისტი ვ. მიქაძე ხელმძღვანელობს, „დინამოს“ სტადიონზე პირველი ჩამბარებლები მიიწვია.

ნორმატივების ჩაბარებაში თავი ისახელეს საქსოვი წარმოების მუშა-მოსამსახურეებმა.

ორი დღის განმავლობაში ხუთ სახეობაში ნორმატივების ჩაბარებაში 442 ფეიქარი და მომავალი ფეიქრების სამჭედლოს — № 37 პროფტექნიკური სასწავლებლის 52 მოსწავლე მონაწილეობდა. საქსოვი წარმოების სარემონტო ბრიგადის ზეინკალმა გ. ჭაბუკიანმა 700-გრამიანი ხელყუმბარა 55,35 მეტრზე ტყორცნა და მესამე თანრიგის ნორმატივი შეასრულა, ბირთვის კვრაში (13,15 მ) კი მეორე თანრიგისა. სიმაღლეზე ხტომაში კარგად გამოვიდნენ მოსამზადებელი საამქროს მუშა, პირველთანრიგოსანი კალათბურთელი ე. კვენეტაძე, მუშა მ. საცერაძე, პროფტექნიკური სასწავლებლის მოსწავლე თ. ონიანი...

**შ. ნიჟარაძე.**
**(ჩვენი კორ.).**

ქუთაისი.

• • •

სურათებზე: ფეიქრები რბენაში აბარებენ ნორმატივს; ნორმატივების მიმღები კომისიის თავმჯდომარე ვ. მიქაძე (მარცხნივ) კომისიის წევრებს დავალებას აცნობს.

თ. ბერეჩიკიძის ფოტოები.

## გამარჯვებულნი დაბრუნდნენ

საქართველოს პროფსაბჭოს მძლეოსნობის სპეციალიზებული სპორტსკოლის გუნდი გამარჯვებული დაბრუნდა რიგიდან, სადაც 8 გუნდის მატჩი გაიმართა. თბილისელთა გარდა, ლატვიის დედაქალაქში პირველობისთვის იბრძოდნენ კიევის, მინსკის, რიგის, ტალინისა და სხვა ქალაქების სპეციალიზებული სპორტსკოლების გუნდები, აგრეთვე, სომხეთის ნაკრები.

ჩვენი დედაქალაქის ნორჩმა მძლეოსნებმა საბოლოოდ 221 ქულა მოაგროვეს, ხოლო მასპინძლებმა, რომლებმაც II ადგილი დაიკავეს — 156.

თბილისელებმა პირად ტურნირში 13 გამარჯვება, 10 II და 6 III ადგილი დაისაკუთრეს. ორმაგ წარმატებას მიაღწია 14 წლის ტ. ეროხინამ, რომელმაც 60 და 300 მეტრზე რბენა მოიგო (8,0 და 43,2). თანაგუნდელები ი. ტაზაგულოვა ეროხინას 60 მეტრზე 0,1 წამით ჩამორჩა და II ადგილი დაიკავა.

გოგონათა შეჯიბრებაში კარგად გამოვიდა 15 წლის თ. დათუკაშვილიც, რომელმაც ბადროს ტყორცნაში პირველობა (35,28 მ) მოიპოვა, ხოლო 4-კილოგრამიანი ბირთვის კვრაში (9,10 მ) II ადგილი დაისაკუთრა.

ორ-ორი საპრიზო ადგილი დაიკავეს 14 წლის ი. ალექსეევამ და ნ. ენუქიძემ. ალექსეევამ მოიგო 3-კილოგრამიანი ბირთვის კვრა (11,30 მ) და ბადროს ტყორცნაში III ადგილი მოიპოვა. ენუქიძე მეორე იყო სიგრძეზე ხტომაში (494 სმ), მესამე — სიმაღლეზე ხტომაში (135 სმ).

განსაკუთრებით აღსანიშნავია 15 წლის ნ. დანილოვას გამარჯვება სიგრძეზე ხტომაში — 547 სმ.

გოგონათა შორის საპრიზო ადგილები დაისაკუთრეს, აგრეთვე, ლ. ჯაგაევამ — 80 მეტრზე თარჯრბენში — 13,4 (II ადგილი) და ლ. ბადრიძემ — 800 მეტრზე — 2.23,4 (III).

ჭაბუკების შედეგები უფრო საყურადღებო იყო. სიგრძეზე ხტომაში 14 წლის ბიჭების შეჯიბრებაში სამივე საპრიზო ადგილი თბილისელებს დარჩათ: თ. მეგრელი 568 სმ-ზე გადახტა, ვ. ჭელიძე — 562, ი. სალარეიშვილი — 560 სმ-ზე. სალარეიშვილი მეორე იყო 60 მეტრზე რბენაში (7,7) და მესამე — სიმაღლეზე ხტომაში (150 სმ), სადაც თანაგუნდელ თ. ჩხეიძესთან II ადგილი ცდებით წააგო.

15 წლის სპორტსმენთა შეჯიბრებაში ყველაზე კარგად გამოვიდნენ ლ. გომართელი და რ. ალახვერდოვი. გომართელმა 100 მეტრზე თარჯრბენი მოიგო (15,8) და 100 მეტრზე რბენაში ვ. ხახვიაშვილთან (11,3) მხოლოდ 0,1 წამი წააგო. ალახვერდოვმა შუბის ტყორცნაში ყველას აჯობა (60,80 მ) და 6-კილოგრამიანი ბირთვის კვრაში II ადგილზე გავიდა (12,38 მ). თ. ოდიშვილს ბადალი არ ჰყავდა ბადროს ტყორცნაში — 41,84 მ (მისი თანაგუნდელი დ. წიკლაური III ადგილზეა — 35,30), ვ. მოზგოვოის — სიმაღლეზე ხტომაში (180 სმ), ს. მანუკიანს — 1000 მეტრზე რბენაში (2.42,0). თბილისელმა რ. გასპარიანმა ორი II ადგილი დაიკავა: სიგრძეზე ხტომაში (609 სმ) და სამხტომში (12,60 მ).

თბილისელებმა ბოლო გამარჯვება მოიპოვეს ჭაბუკთა ესტაფეტაში 4×100 მეტრზე — 45,0.

**რ. მაღრაძე.**

### ფილმი მსოფლიო ჩემპიონატზე

ბრიუსელში დაიწყეს ფილმის დემონსტრაცია, რომელიც მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატს ეძღვნება. ფილმი ფერადია. მასში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინგლის — გფრ-ის, იტალია — გფრ-ის დრამატულ მატჩებს და, ცხადია, ფინალურ შეხვედრას.

ფილმი 45-წუთიანია.

### შორეული გეგმები

არგენტინის ფეხბურთის ფედერაციას, რომელსაც ფიფა-მ დაავალა მსოფლიოს 1978 წლის ჩემპიონატის ჩატარება, დიდი გეგმები აქვს ჩაფიქრებული. არგენტინელებმა გამოაცხადეს, რომ უკვე მზად აქვთ სტადიონები ბუენოს-აირესში, მარდელ-პლატაში, როზარიოში, მენდოზაში, ტუკუმანსა და კორდობაში.

### უნგრელებიც ითამაშებენ

როგორც ბუდაპეშტში გამოცხადდა, უნგრეთის ნაკრები დათანხმდა ითამაშოს ბრაზილიის დიდ საერთაშორისო ტურნირში — „მსოფლიოს მცირე ჩემპიონატში“.

უნგრელებს წინასწარ, შესარჩევ ჯგუფში მოუხდებათ თამაში, ვინაიდან, როგორც ორგანიზატორებმა გამოაცხადეს, მათზე არ გავრცელებულა პირდაპირ ფინალურ ჯგუფში დაშვების პრივილეგია.

## უცხოეთის ფეხბურთის ამბები





ეროვნული ბიბლიოთეკა

*ჩვენი სპეციალური კორესპონდენტი თ. გიორგაძე რიგიდან გვატყობინებს*

# მეორე პარტია

**ა. კუშნირი — ნ. გაფრინდაშვილი**

გრიუნფელდის დაცვა

**1. d4 მf6 2. c4 g6 3. მc3 d5 4. cd მ:d5 5. e4 მ:c3 6. bc კg7 7. კc4 c5 8. მe2 cd 9. cd მc6 10. კe3**

ეს პოზიცია კარგადაა ცნობილი თეორიაში. ნონა მივიწყებულ, მწვავე ვარიანტს ირჩევს.

**10. ... ლa5+ 11. კd2 ლa3 12. ეb1 0—0 13. 0—0 კg4 14. d5**

კუშნირი იძულებულია პაიკთა წყობა დაარღვიოს.

**14. ... b5 15. ე:b5**

ერთადერთი სწორი სვლაა.

**15. ... მd4**

პრეს-ცენტრში უმრავლესობას უკეთესად 15. ... მe5 მიაჩნდა, მაგრამ ახლაც უაღრესად მძაფრი თამაში ჩაღდება. იგი მეტოქეებისგან დიდ ჯაფას მოითხოვს.

**16. ეa5 ლb2 17. f3 კd7**

უფრო სწორი იყო ჯერ 17. ... ეfc8.

**18. მფh1**

თითქოს ერთადერთია. თეთრებს უკეთესი გეგმა არა აქვთ.

**18. ... ეfc8 19. კd3 მ:e2 20. ლ:e2 კc3 21. კ:c3 ლ:c3 22. ეa6 ეab8**

ნონა კიდევ ერთ პაიკს სწირავს, რათა ინიციატივა შეინარჩუნოს.

კუშნირი თამამად მიჰყვება გართულებებს, გრძნობს, რომ მას მეტი შანსი აქვს.

**23. ე:a7 ეb2 24. ლd1 ეd2 25. ლb3**



**25. ... კh3!**

მოულოდნელი კომბინაცია. კუშნირი არც დაფიქრებულა, ისე აიყვანა ფიგურა. შავების იერიში სახიფათო ჩანს. საჭიროა ზუსტი დაცვა.

**26. gh ლe5 27. f4 ლh5**

უარესია 27. ... ლd4 28. ეa3! ლe3 29. კa6 ლ:e4+ 30. ლf3 გამო. მაგრამ გაკეთებულ სვლაზე კუშნირს შეეძლო პერსპექტიული თამაშის მიღება 28. კa6-ით ან 28. ეc7! მან კარგად ვერ ითამაშა.

**28. ლb4 ე:d3**

არ შეიძლება 28. ... ეcc2 29. კ:c2 ლe2 30. ლb8+ მფg7 31. ლe5+ მფh6 32. ლg5+ მფg7 33. ლg1 გამო.

**29. ლ:e7 ეf8 30. ლg5 ლ:h3 31. ლg2 ლe3 32. ეb7**

კუშნირს ორი ზედმეტი პაიკი აქვს, მაგრამ მათი რეალიზება ძალიან ძნელია შავი ფიგურების აქტიური განლაგებისა და თეთრი მეფის სუსტი პოზიციის გამო. ყაიმი იყო მოსალოდნელი.

**32. ... ეc8 33. ეb3 ე:b3 34. ab ლ:b3 35. f5 ეc2 36. ლg4 ლd3 37. ლf4**

კუშნირს პატარა ცაიტნოტი აქვს. ჩქარობს.

**37. ... ლe2 38. fg??**

დაღლილი კუშნირი ვერ ხედავს...

**38. ... ლg2 ×**

# ოცი წლის შემდეგ

ცხენოსნობის ეროვნულ და კლასიკურ სახეობებში ფოთელი სპორტსმენები წარმატებით გამოდიოდნენ რესპუბლიკურ და საკავშირო სარბიელზე, მაგრამ მას შემდეგ, რაც ქალაქის იპოდრომი ზღვამ წალეკა, კარგი ტრადიცია დავიწყებას მიეცა. სიყვარული საცხენოსნო სპორტისადმი იმდენად დიდი იყო, რომ ამ სახეობის მოამაგეთა ერთმა ჯგუფმა (პირველ ყოვლისა, ვეტერანი ცხენოსნები გ. მაქაცარია, მამა-შვილი კ. და ც. შურღაიები და ფოთის ფიზკულტურის კომიტეტის თავმჯდომარე ბ. გოგიჩაიშვილი უნდა დავასახელოთ) ყველაფერი იღონა მდგომარეობის გამოსასწორებლად.

ამ სამიოდე წლის წინათ ფოთში ვიყავით შექმნილი ვითარების გასარკვევად. სათანადო ორგანიზაციებში საკითხის დასმამ ნაყოფი გამოიღო: აშენდა თავლა, იყიდეს რამდენიმე ცხენი, შეარჩიეს სავარჯიშო ადგილიც.

ენთუზიასტების თხოვნით დაბრკოლებათა გადალახვაში საქართველოს წლევანდელი პირველობა ფოთში დაინიშნა. და აი, თითქმის 20 წლის ოცნების შემდეგ ფოთელებმა მშობლიურ ქალაქში კვლავ იხილეს რესპუბლიკის საუკეთესო მხედრები. ამ ასპარეზობას დიდი ინტერესით მოელოდნენ მეზობელი რაიონების მცხოვრებნიც. მასპინძლებსაც არაფერი დაუშურებიათ, რათა შეჯიბრების დღეები ნამდვილ სპორტულ ზეიმად გადაქცეულიყო. ქალაქის ბევრმა საწარმო-დაწესებულებამ სპეციალური პრიზები დააწესა. გამარჯვებულებს (პირველად ეს ამ შეჯიბრებაში გაკეთდა) ოლიმპიური წესისა და ცერემონიალის მიხედვით აჯილდოებდნენ. ერთი სიტყვით, ფოთელებმა რესპუბლიკური ღონისძიების ჩატარების მისაბაძი მაგალითი გვიჩვენეს.

პირველობის ოფიციალურ გახსნამდე უხუცესი ცხენოსნის კ. შურღაიას თავკაცობით მხედრებმა მწყობრად გაიარეს ფოთის ქუჩები. სპორტის ოსტატმა გ. პოლეატიდიმ ცენტრალურ მოედანზე ცხენის გაწვრთნის უმაღლესი სკოლის საინტერესო ფრაგმენტები უჩვენა მოზღვავებულ ხალხს.

ასპარეზობა-ზეიმში, რომელმაც სამ დღეს გასტანა, მასპინძელი ქალაქის, თბილისის, სოხუმის, გალის, გულრიფშის, გუდაუთის, ოჩამჩირის, ცხაკაიასა და ჩოხატაურის გუნდები მონაწილეობდნენ. ჩოხატაურელი მხედრები უბადლონი არიან ცხენოსნობის ეროვნულ სახეობებში. ეს ცნობილია. ახლა მათ კლასიკურ სახეობებშიც შესამჩნევად აუმაღლებიათ ოსტატობა: უწინ მსგავს შეჯიბრებებში ქულასაც ვერ იღებდნენ, ახლა კი გ. კალანდაძე ცალკეულ სახეობებში უძლიერესთა შორისაც იყო.

ნამდვილ რაინდად გაგვაცნო თავი ცხაკაიელმა სპორტის ოსტატმა გ. მარეიკომ — სამი I, თითო II და III ადგილის მოპოვებით მან წლეულსაც შეინარჩუნა საქართველოს აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული.

საუცხოოდ ორგანიზებული შეჯიბრების შესახებ რომ გვესაუბრებოდა, ფიზკულტურის რესპუბლიკური კომიტეტის მთავარმა მწვრთნელმა ცხენოსნობასა და თანამედროვე ხუთჭიდში რ. მანჯავიძემ საგანგებოდ აღნიშნა ზუგდიდელთა უპასუხისმგებლობა. ასპარეზობისადმი ინტერესი ამ ქალაქის მხედრებსაც უნდა გაეძლიერებინათ, მაგრამ მათ პირველობას თავი აარიდეს. აქვე იმასაც დავსძენთ, რომ სხვაზე ნაკლები ზუგდიდელებს არც სახსრები აქვთ და არც ტრანსპორტი. სხვა რომ არაფერი, ისინი ხომ ტერიტორიულად ერთობ ახლოს არიან პირველობის მასპინძლებთან.

**თ. გაჩეჩილაძე,**
**(ჩვენი სპეც. კორ.).**

ფოთი.

• • •

გთავაზობთ პრიზიორთა ტექნიკურ შედეგებს: **„გახსნის პრიზი".** 1. ვ. ლაკოია (გუდაუთა) — 4 საჯარიმო ქულა, 2. გ. მარეიკო (ცხაკაია) — 4 (გამარჯვებული დანაზოგი წამებით გამოვლინდა), 3. ნ. ქვირკველია (გულრიფში) — 25. **„ამორჩევით" დაბრკოლებათა გადალახვა.** 1. მარეიკო — 156 ქულა, 2. რ. გარუჩავა (ცხაკაია) — 140, 3. ა. თარბა (გუდაუთა) — 136. **„სამონადირეო პარკური":** 1. ა. საჯაია (ცხაკაია) — 1.25,8, 2. ჭ. გამბაიაზოვი (თბილისი) — 1.30,0, 3. მარეიკო — 1.32,0. **„ძალისმიერი ხტომა".** 1. მარეიკო — უჯარიმოდ, 2. ნ. ჯანგირაშვილი (თბილისი) — 8 საჯარიმო ქულა, 3. საჯაია — 12. **დაბრკოლებათა გადალახვა „უმაღლესი კლასი" — ფოთის თასზე** (ორივე ცდის ჯამით): 1. მარეიკო—25 საჯარიმო ქულა, 2. ლაკოია — 44, 3. გამბაიაზოვი — 68.

**აბსოლუტური პირველობა:** 1. მარეიკო — 25,25 ქულა, 2. გამბაიაზოვი — 14,5, 3. საჯაია — 13,25.

# ალარაფერი შეიცვლება

ეს საუბარი სსრ კავშირის ცენტრალური საჭადრაკო კლუბის დირექტორ ვ. ბატურინსკისთან ჭადრაკში ქალთა მსოფლიო პირველობის მატჩის პრეს-ცენტრში გვქონდა. ბატურინსკი რიგაში მატჩის საზეიმო გახსნასა და I პარტიაზე ჩამოვიდა.

● **როგორ მოგწონთ მატჩის ორგანიზაცია?**

— სასაყვედურო არაფერი გვაქვს. რიგელებმა, როგორც სჩვევიათ, ძალღონე არ დაიშურეს, რათა მეტოქეთათვის ბრძოლის საუცხოო პირობები შეექმნათ. რამდენადაც ვიცი, ოფიცერთა სახლის „ოქროს დარბაზში" 1965 წელს კერეს — სპასკის მატჩი გაიმართა. მანამდე კი ვაჟთა საკავშირო პირველობაც ჩატარდა. თავად რას იტყოდით?

● **მატჩის მონაწილენი არაფერს უჩივიან.**

— თითქოს მეჩვენება, რომ დარბაზში ტრანსპორტის ხმაური შემოდის.

● **უმნიშვნელო. მასპინძლებმა მითხრეს, რომ დარბაზი ფიზკულტურის საკავშირო სამეცნიერო-**კვლევითი ინსტიტუტის ჭადრაკის ლაბორატორიის მუშაკებს შეუმოწმებიათ და თამაში შესაძლებლად მიუჩნევიათ.

— ეს მეც მითხრეს. საერთოდ, ორგანიზატორებს მატჩის ყოველი დეტალი გაუთვალისწინებიათ.

● **პატივცემულო ვიქტორ, თქვენ ახლოს ხართ სპასკი — ფიშერის მატჩის ამბებთან. რა მდგომარეობაა ახლა?**

— ვფიქრობ, ყველაფერი გარკვეულია. აღარაფერი შეიცვლება. მაქს ეივემ მატჩი რეიკიავიკში დანიშნა, როგორც სპასკი და ჩვენი ფედერაცია მოითხოვდნენ. სტარტის დღეც დამტკიცდა — 2 ივლისი.

● **ფიშერმა რამე რომ მოიმიზეზოს?**

— არა მგონია. უკვე გამოგზავნა თანხმობა.

● **მეტი საპრიზო ჰონორარი რომ მოითხოვოს?**

— ეს შეიძლება. ისლანდიის ჭადრაკის ფედერაცია მეტოქეებს 125 ათას დოლარს უხდის. რა თქმა უნდა, ეს უფრო ცოტაა, ვიდრე ბელგრადში — რეიკიავიკში იქნებოდა. მეტი ჰონორარი თუ მოითხოვა, ფიშერს თავად ამერიკელებმა უნდა გადაუხადონ. ისლანდიას ამის შესაძლებლობა არა აქვს.



● **მაინც რა იყო ბელგრადში მატჩის პირველი ნახევრის ჩაშლის მიზეზი?**

— ფიშერმა შეიტყო, რომ იუგოსლაველი ორგანიზატორები ტელეკომპანიებიდან დიდ თანხას ღებულობდნენ. იგი ამ თანხიდან საპრიზო ფონდისთვის ფულის დამატებას მოითხოვდა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა. ეს თანხა იუგოსლავიის ჭადრაკის მესვეურთ საჭადრაკო ოლიმპიადებისთვის სჭირდებოდათ. როგორც იცით, სექტემბერ-ოქტომბერში სკოპლეში ვაჟთა XX და ქალთა V ოლიმპიადები უნდა ჩატარდეს.

● **ფიშერმა ახლა ისლანდიას რომ მოსთხოვოს საპრიზო ჰონორარის გადიდება, მაშინ ხომ მატჩი ჩაიშლება?**

— ასეთ შემთხვევაში ამერიკელი დიდოსტატის პრეტენზიებს განიხილავს ფიდე-ს კონგრესი, რომელიც იუგოსლავიაში ოლიმპიადის დღეებში გაიმართება. მაგრამ არა მგონია საქმე აქამდე მივიდეს. ფიშერი მატჩს ითამაშებს. და ეს ორთაბრძოლა ალბათ ბევრს ალიოხინ—კაპაბლანკას 1927 წლის მატჩს გაახსენებს დაძაბულობით, შინაარსით, მეტოქეთა შემართებით.

ჭადრაკის მოყვარულთათვის ნამდვილი დღესასწაული დგება: ჯერ გაფრინდაშვილი — კუშნირის შეხვედრა, მერე სპასკი — ფიშერის მატჩი. მეტი სიამოვნება რაღა იქნება!

ჭადრაკი

# გიორგაძე — 8-დან 7 ქულა!

საქართველოს მოჭადრაკე ვაჟთა ჩემპიონატში გაიმართა VIII ტური.

**VIII ტური:** დ. გედევანიშვილი — თ. გიორგაძე (ორივე — თბილისი) 0:1, ლ. ნეურონოვი (ბათუმი) — ი. მანაშეროვი (ხაშური) 1:0, ა. ტუზოვსკი (ბათუმი) — ა. ბუსლაევი (თბილისი) 1:0, ზ. მიქაძე (გუდაუთა) — ლ. კერნაჟიცკი (ბათუმი) 0,5:0,5. გადაიდო პ. შაქარიან — ე. უბილავას (ორივე — თბილისი), მ. არჩვაძე (სამტრედია) — ე. მიქაელიანის (თბილისი), რ. დადიან (სოხუმი) — ნ. ჩახოიანის (თბილისი), ა. რაზოვსკი (ქუთაისი) — გ. ბიბილაშვილის (გარდაბანი), ა. ბალავაძე (რუსთავი) — დ. ჯანოევის (თბილისი) პარტიები.

შეჯიბრების ლიდერმა გიორგაძემ დებიუტში მალე გაათანაბრა პარტია. მისმა მეტოქემ შუა თამაშში პაიკი დაკარგა. კონტრიერიშის მიზნით გედევანიშვილმა ორი ფიგურა შესწირა ეტლში, მაგრამ ამან მისი მდგომარეობა ვერ შეამსუბუქა და გიორგაძემ მორიგი, მეექვსე გამარჯვება იზეიმა. ნეურონოვ — მანაშეროვის შეხვედრაში თეთრებმა ძლიერი შეტევა წამოიწყეს მეფის ფლანგზე. შავები მშვიდად იგერიებდნენ იერიშს, მაგრამ აქ საქმეში ცაიტნოტი ჩაერია. მანაშეროვი შეცდა და ულაზიეროდ დარჩა. მიქაძემ ესპანურ პარტიაში კერნაჟიცკისთან მეტოქის შეთავაზებული ფიგურა და ლაზიერი მიიღო. კერნაჟიცკის სანაცვლოდ არაფერი დარჩა და მუდმივი ქიშით ყაიმს მიაღწია.

8 ტურის შემდეგ დამაჯერებლად ლიდერობს გიორგაძე — 7 ქულა. ნეურონოვს 5,5 ქულა აქვს, ჯანოევს — 5 ქულა და 1 გადადებული პარტია. 4,5 ქულა მოაგროვა ტუზოვსკიმ. 4-4 ქულა დაუგროვდათ გედევანიშვილს, დადიანსა და მიქაელიანს, ოღონდ ბოლო ორს თითო გადადებული პარტიაც აქვს.

**ა. ბლაგიძე,**
შეჯიბრების მთავარი მსაჯი, სპორტის ოსტატი, რესპუბლიკური კატეგორიის მსაჯი,
**ა. ცეხანელი.**

# ლიდერი დამარცხდა, მაგრამ მაინც ლიდერად დარჩა

მოჭადრაკე ქალთა რესპუბლიკური ჩემპიონატის V ტურში პირველად დამარცხდა შეჯიბრების ლიდერი თ. კაჭარავა. მას თ. ხუგაშვილმა მოუგო. ს. კალანდარიშვილმა აჯობა მ. ჯაგლოევას, ე. ბაშინურიძემ — მ. მამისთვალოვას. დ. ქობალიამ წააგო ნ. ბაღაშვილთან, ხოლო ნ. ხუბულურმა — მ. წერეთელთან (ყველა — თბილისი). დანარჩენი პარტიები გადაიდო.

5 ტურის შემდეგ კვლავ ლიდერობს კაჭარავა — 4 ქულა. 3 ქულა და 1 გადადებული პარტია აქვს ხუგაშვილს. 2,5 ქულა მოაგროვა ხუბულურმა. გადადებული პარტიების სიმრავლის გამო დანარჩენ მონაწილეთა მდგომარეობა საკმაოდ ბუნდოვანია.

# რეკორდი ბეწვზე ეკიდა

ძალოსანთა საკავშირო პირველობაში, რომელიც ხარკოვის „დინამოს" სპორტდარბაზში გაიმართა, მონაწილეობდა 15 გუნდის 130-მდე სპორტსმენი, რომელთა ასაკი 20 წელს არ აღემატებოდა. ამ შეჯიბრებაში იუნიორთა სამი მსოფლიო და 10 საკავშირო რეკორდი დამყარდა.

საკავშირო სპორტკომიტეტმა და ძალოსნობის ფედერაციამ რესპუბლიკებში ჩატარებული მუშაობის შეფასების უფრო სწორ მეთოდს მიმართეს, როცა ყველა გუნდი თანაბარ პირობებში ჩააყენეს და მათს ოსტატობას 8 საუკეთესო მაჩვენებლის მიხედვით ადგენდნენ.

საქართველოს ძალოსნები სათანადოდ მოემზადნენ ამ შეჯიბრებისთვის და სრული შემადგენლობით წარსდგნენ ხარკოვის ფიცარნაგზე.

უმსუბუქეს წონაში იმედები გაგვიმართლა ჩაქველმა გ. სითათაშვილმა, რომელმაც რესპუბლიკის რეკორდი დაამყარა სამჭიდში (242,5 კგ) იუნიორთა შორის. ამით მან პირველი ჩასათვლელი ქულა მისცა გუნდს.

მსუბუქ წონაში 16 წლის ბათუმელი ა. ქსოვრელი ასპარეზობდა. მან აქაცსა და აკვრაში ბრინჯაოს მედლები დაიმსახურა, ხოლო სამჭიდის ჯამში (277,5 კგ) VI ადგილს დასჯერდა, ამასთან, საქართველოს იუნიორთა რეკორდიც დაამყარა.

თავიანთ შესაძლებლობაზე სუსტად გამოვიდნენ ახალციხელი ოსტატობის კანდიდატი ს. ვართანიანი (ქვესაშუალო წონა) და თბილისელი სპორტის ოსტატი ნ. ნახუცრიშვილი (საშუალო წონა). ამან გუნდის საერთო შედეგზე ცუდად იმოქმედა.

ქების ღირსია ცხინვალელი ნ. ძასოხოვი (საშუალო წონა), რომელმაც აჭიმვაში, აკვრასა და სამჭიდში ვერცხლის მედლები დაიმსახურა. იგი დიდი აღმავლობით იბრძოდა და რესპუბლიკის იუნიორთა სამი რეკორდიც დაამყარა. საინტერესოა აღინიშნოს, რომ საშუალო წონაში ამერიკელი პ. ჰოლბრუკის იუნიორთა მსოფლიო რეკორდი აკვრაში — 177,5 კგ (1968 წ.) — ბეწვზე ეკიდა. ძასოხოვმა 178 კგ ორჯერ აიტანა მკერდზე, მაგრამ დაძლევა ვერც ერთხელ ვერ შეძლო. ეჭვი არ გვეპარება, რომ ახლო მომავალში მიხეილი მსოფლიო რეკორდსმენთა სიაში მოხვდება.

საგრძნობლად გააუმჯობესა საუკეთესო შედეგი სამჭიდში ქვემძიმე წონის ათლეტმა, ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტმა ე. დეალმა.

ძალოსნობის სპეციალისტები და შეჯიბრების ორგანიზატორები მოუთმენლად ელოდნენ სსრ კავშირისა და მსოფლიო რეკორდსმენის, სოხუმელი ოსტატის რ. ტარკილის გამოსვლას, მაგრამ მასთან ჭიდილში უკრაინელი გ. მარკინი გაცილებით უკეთესად მომზადებული აღმოჩნდა. უკრაინელმა იუნიორთა 3 საკავშირო რეკორდი დაამყარა და სამჭიდის ჯამში 500 კგ დააგროვა. ტარკილი მას 5 კგ-ით ჩამორჩა.

საქართველოს ძალოსნები (უფროსი მწვრთნელი უ. ჭირაქაძე) შეჯიბრებისთვის კარგად იყვნენ მომზადებულნი. საკმარისია ითქვას, რომ ამ ასპარეზობაში მათ 12 რესპუბლიკური რეკორდი დაამყარეს.

გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს რსფსრ-ს წარმომადგენლებმა. II ადგილზე გავიდნენ უკრაინელები, III — მოსკოველები. მომდევნო ადგილებზე არიან საქართველოს, სომხეთისა და ბელორუსიის კოლექტივები. შარშანდელთან შედარებით საქართველოს ძალოსნებმა სამი საფეხურით მაღლა აიწიეს, რაც უთუოდ დიდი წარმატებაა.

**გ. გოდერძიშვილი,**
საქართველოს სპორტკომიტეტის მთავარი მწვრთნელი ძალოსნობაში.

## [illegible] გოლები. [illegible]

16 მაისს შედგა მორიგი ტურის შეხვედრები.

**„არარატი" — „ზარია" 1:2.**

ეს მატჩი ტურის ცენტრალური შეხვედრა იყო. ვოროშილოვგრადელებმა იგი ძლიერად ჩაატარეს და დამსახურებულადაც გაიმარჯვეს. ანგარიში გახსნა სემიონოვმა, ხოლო შემდეგ ვასენინმა მეორედ აიძულა მასპინძლები ცენტრიდან დაეწყოთ თამაში. „არარატმა" მხოლოდ მატჩის დასასრულს შეძლო ერთადერთი საპასუხო ბურთის გატანა (ზანაზანიანი).

**„დინამო" (მინსკი) — „კარპატი" 0:0.**

სტუმრები ორჯერ აღმოჩნდნენ აშკარა ხიფათის წინაშე, მაგრამ გადარჩნენ. პირველად გერეგმა გამოიტანა ბურთი კარის ხაზიდან, ხოლო შემდეგ ლვოველები ძელმა იხსნა.

**„დინამო" (მოსკოვი) — „უაირათი" 1:1.**

ანგარიში მოთავდა უკვე მე-17 წუთზე: დაწინაურდნენ სტუმრები (პიუნოვსკი), ხოლო თანაფარდობა საბომ აღადგინა. დინამოელებს 74-ე წუთზე მიეცათ პენალტის დარტყმის უფლება, მაგრამ „ყაირათის" მეკარე შვედკოვმა მოიგერია მახოვიკოვის ბურთი. შვედკოვი პირველი მეკარეა, რომელმაც წლეულს პენალტის აღება შეძლო.

**„ტორპედო" — „დნეპრი" 1:1.**

ტორპედოელებმა აქტიური იერიშებით დაიწყეს შეხვედრა, რომელთაგან ერთ-ერთი 34-ე წუთზე გოლით დაამთავრა სმირნოვმა. შემდგომში „დნეპრმა" შეძლო თამაშში გარდატეხის შეტანა და ანგარიშიც გაათანაბრა (ლიაბიკი).

## უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 7 | 6 | 1 | 0 | 12—3 | 13 |
| „დინამო" (თბ.) | 7 | 5 | 1 | 1 | 11—2 | 11 |
| „დინამო" (კ.) | 7 | 4 | 2 | 1 | 10—7 | 10 |
| „ზენიტი" | 7 | 3 | 3 | 1 | 12—8 | 9 |
| ცსკა | 7 | 4 | 1 | 2 | 9—6 | 9 |
| „დნეპრი" | 7 | 2 | 4 | 1 | 10—9 | 8 |
| „ლოკომოტივი" | 7 | 2 | 3 | 2 | 4—5 | 7 |
| „დინამო" (მ.) | 6 | 2 | 2 | 2 | 7—6 | 6 |
| „სპარტაკი" | 7 | 2 | 2 | 3 | 7—8 | 6 |
| „არარატი" | 6 | 1 | 3 | 2 | 9—6 | 5 |
| „კარპატი" | 7 | 2 | 1 | 4 | 7—9 | 5 |
| „ნეფთჩი" | 7 | 2 | 1 | 4 | 4—7 | 5 |
| „ყაირათი" | 7 | 0 | 5 | 2 | 4—7 | 5 |
| „დინამო" (მნ.) | 7 | 1 | 3 | 3 | 4—8 | 5 |
| „ტორპედო" | 7 | 1 | 3 | 3 | 4—12 | 5 |
| ასკ | 7 | 0 | 1 | 6 | 3—14 | 1 |

### ცვლილება კალენდარში

საკავშირო ჩემპიონატის მატჩი ლენინგრადის „ზენიტსა" და მოსკოვის „სპარტაკს" შორის 20 მაისის ნაცვლად შედგება 17 ივნისს.

# სამი ჩათვლა ერთ მატჩში

თბილისი. „ლოკომოტივის" სტადიონი. 16 მაისი.

„დინამო" (თბილისი) — ასკ (დონის როსტოვი) 4:1 (2:1).

„დინამო": გოგია, ძოძუაშვილი, ჰელიძე, ხურცილავა, ებრალიძე, გავაშელი, მ. მაჩაიძე, პეტრიაშვილი, გუცაევი, გ. ნოდია, ყიფიანი.

ასკ: ბოიჩენკო, სეროსტანოვი, შერგელაშვილი, ალექსანდროვი, ალტუხოვი (მოგილნი), გეტმანოვი, ანტონოვი, ესკოვი, ჩიხლაძე, ციბინი, ჩურკინი (მასლიაევი).

მსაჯი ვ. ლიპატოვი (მოსკოვი).

დუბლიორები — 1:0 როსტოველთა სასარგებლოდ.

16 მაისის მატჩში თბილისელებმა ერთბაშად სამი ჩათვლა მიიღეს: ჯერ ერთი, შეხვედრა მოიგეს და ესოდენ საჭირო 2 ქულა ჩაიწერეს, მეორე, გაინაღდეს კიდევ ერთი ბალი დიდი ანგარიშით გამარჯვებისთვის და, ბოლოს, აიღეს ქულა „გამარჯვებისკენ სწრაფვის" პრიზისთვის ბრძოლაში. უხვი მოსავალია!

მაგრამ მე-3 წუთზე დინამოელთა გულშემატკივრები უკვე საკმაოდ უგუნებოდ იყვნენ, როცა როსტოველები დაწინაურდნენ ჩიხლაძის გატანილი გოლის წყალობით. ეს იყო დაცვისა და მეკარის აშკარა ლაფსუსის შედეგი. სტუმრების იერიშისას მცველებმა ბურთი ვერაფრით მოიცილეს საჯარიმო მოედნიდან. გოგიამ ესკოვის დარტყმა მოიგერია, მაგრამ ბურთს არმიელთა ცენტრალურმა თავდამსხმელმა მიუსწრო...

ამ დასაწყისს თბილისელთა ხანგრძლივი, მძლავრი იერიში მოჰყვა. ამ იერიშს შემდგომში ისეთი შტურმის ხასიათი მიეცა, რომ „დინამოს" ნახევარზე დროდადრო რჩებოდა მხოლოდ ერთი მოთამაშე — გოგია. როსტოველთა კართან შექმნილი ყველა მომენტის აღწერას არ შევუდგებით, ვინაიდან ეს ბევრ დროსა და ადგილს წაგვართმევდა. ყოველი რამდენიმე წუთის შემდეგ სტუმრების კარი ბეწვზე ეკიდა და ეს ბეწვი, როგორც იქნა, გაწყდა: ძოძუაშვილმა 23-ე წუთზე მაჩაიძის გადაცემა მიიღო და ძალიან ზუსტად, ძლიერად, შეუჩერებლად დაარტყა კარში. მცველის ეს გოლი პირადად მისთვის შემთხვევითი არ იყო. მანამდე ძოძუაშვილმა არაერთხელ შეასრულა საიერიშო რეიდი და ბოლოს მაინც მიაღწია მიზანს — 1:1.

ანგარიშის გათანაბრების შემდეგ „დინამოს" თამაში უფრო დამაჯერებელი, გეგმიანი და დახვეწილი გახდა. იერიში ვითარდებოდა გაშლილად, მინდვრის მთელ სიგანეზე, გაძლიერებული ძალებით, და მალე, 32-ე წუთზე, დამთავრდა მეორე გოლით. ეს იყო ერთგვარი „კომპლექსური" შტურმი მცველების, ნახევარმცველებისა და თავდამსხმელების მონაწილეობით. ბურთი არმიელთა ერთ-ერთი მცველისგან რიკოშეტით მოხვდა გუცაევთან და ამ უკანასკნელისგან გავიდა კარში—2:1.

სტუმრებმა თამაშის გამოსწორება მხოლოდ მეორე ტაიმში შეძლეს. მათ შეცვალეს ალტუხოვი, რომელიც სისტემატურად უხემობდა გუცაევის წინააღმდეგ და მაინც მუდამ წაგებული რჩებოდა. გუცაევის ნეიტრალიზება შესვენების შემდეგ დაევალა ალექსანდროვს, რომლის არსენალში, ეტყობა, მეტი აკრძალული ილეთია და უფრო აქტიურადაც მიმართავს ამ გზას გაჭირვების დროს. წინა ხაზზე მასლიაევმა ჩურკინზე უკეთ ითამაშა და ამის შედეგად გუნდმა რამდენიმე ერთობ სახიფათო კონტრიერიშის განხორციელება შეძლო.

გარკვეულ პერიოდში დინამოელები ძალიან უსისტემოდ, უყურადღებოდ თამაშობდნენ, ბევრს ატარებდნენ ბურთს, ხშირად კარგავდნენ მას. მდგომარეობის გამოსწორებას დაახლოებით 25 წუთი დასჭირდა, თუმცა შემდეგ ყველაფერი მოწესრიგდა: 32-ე წუთზე ნოდიამ შორი გადაცემა მიიღო მინდვრის სიღრმიდან და წინ გავიდა. მის პარალელურად მოძრაობდა გუცაევი. ამ ორი თავდამსხმელის წინ მხოლოდ მოგილნი იყო, რომელიც რთულ ამოცანას ვერ გაუმკლავდა, ნოდია ვერ შეაკავა და ამ უკანასკნელმა ზუსტად გაგზავნა ბურთი კარის შორეულ დაბალ კუთხეში — 3:1.

მატჩის ანგარიში გაზარდა პეტრიაშვილმა. ბურთი გათამაშდა ნოდიასა და ყიფიანს შორის, შემდეგ პეტრიაშვილს გადაეცა და მისგან მიაღწია მიზანს — 4:1.

ახლა წინაა ყველაზე საინტერესო, ცენტრალური მატჩი ორ ლიდერს შორის, რომელიც 20 მაისს შედგება ჩვენს სტადიონზე: „დინამო" (თბილისი) — „ზარია" (ვოროშილოვგრადი). იგი საყოველთაო ყურადღების ცენტრშია.

**რ. ქორიძე.**

• • •



ს უ რ ა თ ზ ე: თბილისელთა გამარჯვება დააგვირგვინა გ. პეტრიაშვილმა, რომელმაც კარგად დაამთავრა პარტნიორების გათამაშებული კომბინაცია.

ა. კოტორაშვილის ფოტო.

## II ლიგა III ზონა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 18 მაისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „კუბანი" (კრასნოდარი) | 6 | 5 | 0 | 1 | 14—1 | 10 |
| „მეტალურგი" (ლიპეცკი) | 5 | 3 | 2 | 0 | 7—2 | 8 |
| „მერცხალი" (მახარაძე) | 6 | 4 | 0 | 2 | 6—3 | 8 |
| „დინამო" (ბრიანსკი) | 5 | 3 | 1 | 1 | 6—5 | 7 |
| „სალუტი" (ბელგოროდი) | 6 | 2 | 3 | 1 | 5—4 | 7 |
| „დრუჟბა" (მაიკოპი) | 5 | 2 | 2 | 1 | 5—2 | 6 |
| „დინამო" (ბათუმი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—5 | 6 |
| „ტრუდი" (ვორონეჟი) | 5 | 2 | 2 | 1 | 7—5 | 6 |
| „ზვეზდა" (ტირასპოლი) | 5 | 3 | 0 | 2 | 5—3 | 6 |
| „კალიტვა" (ბელაია კალიტვა) | 6 | 2 | 2 | 2 | 6—5 | 6 |
| „მაშინოსტროიტელი" (პოდოლ.) | 5 | 2 | 2 | 1 | 4—3 | 6 |
| „ხიმიკი" (ნოვომოსკოვსკი) | 5 | 1 | 3 | 1 | 3—5 | 5 |
| „დინამო" (სოხუმი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—7 | 4 |
| „კოლხეთი" (ფოთი) | 5 | 1 | 2 | 2 | 4—7 | 4 |
| „დილა" (გორი) | 6 | 1 | 2 | 3 | 3—6 | 4 |
| „სპარტაკი" (ორიოლი) | 6 | 0 | 3 | 3 | 2—6 | 3 |
| „მეტალურგი" (რუსთავი) | 5 | 1 | 1 | 3 | 3—8 | 3 |
| „შრომითი რეზერვები" (კურსკი) | 6 | 0 | 2 | 4 | 1—10 | 2 |
| „გურია" (ლანჩხუთი) | 5 | 0 | 1 | 4 | 4—9 | 1 |

უეფა-ს ტურნირზე

# მეორე შეხვედრაც წააგო

ესპანეთის ქალაქებში, როგორც ცნობილია, მიმდინარეობს უეფა-ს ტურნირი ნორჩ ფეხბურთელთა გუნდებს შორის. ჩვენ უკვე გამოვაქვეყნეთ ცნობა, რომ საბჭოთა ნაკრები I ტურში დიდი ანგარიშით (0:4) დამარცხდა გფრ-ის გუნდთან. იმავე მეორე ჯგუფში უნგრელებმა ანგარიშით 4:3 მოუგეს შოტლანდიის გუნდს.

პირველ ჯგუფში ჰოლანდიელებმა სძლიეს ნორვეგიელებს — 1:0, პოლონელებმა — ფრანგებს — 2.1; მესამე ჯგუფში იუგოსლაველებმა ფრედ ითამაშეს ირლანდიელებთან — 1:1, ხოლო ბელგიელებმა — ინგლისელებთან — 0:0. მეოთხე ჯგუფში იტალიელებმა მოუგეს მალტელებს — 5:1, ესპანელებმა — რუმინელებს — 2:1.

II ტურში სსრ კავშირის ნაკრებმა მეორე მარცხი იწვნია, ამჯერად უნგრელებისგან — 1:2. შოტლანდიისა და გფრ-ის გუნდების შეხვედრა შოტლანდიელთა გამარჯვებით დამთავრდა — 1:0.

მოგვყავს სხვა ჯგუფების შეხვედრათა შედეგები: I ჯგუფი. ჰოლანდია — პოლონეთი 0:0, საფრანგეთი — ნორვეგია 2:1; III ჯგუფი. ინგლისი — ირლანდია 4:0, იუგოსლავია — ბელგია 2:1; IV ჯგუფი. რუმინეთი — მალტა 3:0, ესპანეთი — იტალია 1:1.

# ბრაზილიის ნაკრებში... მოყვარულები

ბრაზილიის ფეხბურთელთა ნაკრები 22 მაისს შეუდგება მზადებას მსოფლიოს „მინი-ჩემპიონატისთვის" — დამოუკიდებლობის თასის გათამაშებისთვის. ამასთან დაკავშირებით ნაკრების მწვრთნელმა მ. ზაგალომ განაცხადა, რომ შეჯიბრებისთვის მოამზადებს მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატის მონაწილე 14 ვეტერანს. მაგრამ ზაგალოს ამ განცხადებას დიდი ინტერესი არ გამოუწვევია. ყველასთვის მოულოდნელად, ზაგალომ მათს რიცხვში, ვისაც მომავალი ტურნირისთვის ამეცადინებს, ორი მოყვარული ფეხბურთელიც დაასახელა. ესენი არიან მცველი [illegible] ოსმარი და თავდამსხმელი ვაშინგტონი. მეორე მოულოდნელობა ის იყო, რომ ნაკრების შემადგენლობაში ზაგალოს არ შეჰყავს ნახევარმცველი ევერალდო, რომელმაც წარმატებით ითამაშა მსოფლიოს 1970 წლის ჩემპიონატში. იგი შეცვალა ნეტომ „ფლამენგოდან". ნაკრებში ნეტოს შეყვანას სპეციალისტები იმით ხსნიან, რომ თვით ზაგალო სწორედ „ფლამენგოს" ავარჯიშებს.

როგორც ცნობილია, მსოფლიოს სამგზის ჩემპიონი პელე ქვეყნის ნაკრებს ჯერ კიდევ შარშან დაემშვიდობა. და თუმცა ხშირად ხდება, რომ გამოსათხოვარი ცერემონიალი ერთგვარად ნაადრევი გამოდგება ხოლმე, ამჯერად პელე მართლაც მხოლოდ მაყურებლის როლში გამოვა.

ბრაზილიის დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილი ეს ტურნირი 11 ივნისს გაიხსნება, ხოლო 9 ივლისს დამთავრდება.

# მოსკოვში — პირველი

მოსკოვის უძლიერესი სპორტსმენები აკადემიურ ნიჩბოსნობაში სერებრიანი ბორის ცისფერ ბილიკებზე ასპარეზობდნენ. შეჯიბრებაში საბჭოთა ქვეყნის ოლიმპიური ნაკრების სხვა კანდიდატებიც გამოდიოდნენ, რომელთა შორის სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადის ბრინჯაოს პრიზიორი საქართველოს გუნდიც იყო.

ტურნირზე ყველაზე მეტი ინტერესი სწორედ რვიანების ბრძოლამ გამოიწვია. საქართველოს ოქტეტს (მენიჩბე გ. ნიკურაძე) ძლიერი მეტოქეები ჰყავდა. განსაკუთრებული თავგამოდებით სამხედრო-საზღვაო ფლოტის ცენტრალური საწყლოსნო სპორტული კლუბის ახალგაზრდული გუნდი და პროფკავშირული ნაკრების წევრები იბრძოდნენ.

საქართველოს ნიჩბოსნებმა დამსახურებულად გაიმარჯვეს — 6.15,2. არმიელებმა მათთან 0,1 წამი წააგეს, ხოლო III ადგილზე გასულმა პროფკავშირების ნაკრებმა, რომლის მენიჩბე ევროპის ექს-ჩემპიონი ვ. ევსეევი იყო, 6.18,2 აჩვენა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ახალი ამბები-72

● პრაღა, 15 მაისი. ჩეხოსლოვაკიისა და სსრ კავშირის ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრების ბოლო დღეს მონაწილენი ცალკეულ იარაღებზე ასპარეზობდნენ. წარმატება ამჯერადაც სტუმრებს ხვდათ. აი, შედეგებიც: ბ ჯ ე ნ ი თ ი ხ ტ ო მ ა — 1. ლ. ბურდა (ვორონეჟი) — 19,175 ქულა (ფინალში — 9,65), 2. ო. კორბუტი (გროდნო) — 19,050 (9,7), 3. მ. ნემეტოვა (ჩეხოსლოვაკია) — 18.875 (9,6), 4. ტ. შჩეგოლკოვა (რიგა) — 18,85 (9,55), 5. მ. ვახოვა (ჩეხოსლოვაკია) — 18,825 (9,55), 6. ო. ვოროშილინა (ვორონეჟი) — 18,675 (9,45). ო რ ძ ე ლ ი — 1. ბურდა — 19,05 (9,65), 2. ნემეტოვა — 19,025 (9,6), 3. ვახოვა — 18,925 (9,55), 4. ვოროშილინა — 18.525 (9,4). დ ე ი რ ი — 1. კორბუტი — 19,30 (9,8), 2. ბურდა — 19,15 (9,6), 3. ე. საადი (ტაშკენტი) — 19,05 (9,6), 4. შჩეგოლკოვა — 18,75 (9,45). თ ა ვ ი ს უ ფ ა ლ ი ვ ა რ ჯ ი შ ი — 1. კორბუტი — 19,30 (9,7), 2. ბურდა — 19,275 (9,7), 3. საადი — 19,10 (9.65), 4. ბუინიაჩკოვა (ჩეხოსლოვაკია) — 19,025 (9,7), 5. ვოროშილინა — 19,00 (9,5).

● ნიუ-იორკი, 15 მაისი. პროფესიული ჰოკეის უმაღლესი ლიგის მთავარი პრიზი — „სტენლის თასი" მოიხვეჭა „ბოსტონ ბრიუინზმა", რომელმაც ფინალში ექვსი მატჩიდან ოთხი მოუგო „ნიუ-იორკ რეინჯერსს". ბოლო შეხვედრაში ბოსტონელებმა ნიუიორკელები დაამარცხეს ანგარიშით 3:0. გუნდის წარმატებაში, რომელმაც ჰოკეის ეროვნული ლიგის ჩემპიონის წოდება დაისაკუთრა, ყველაზე მეტი წვლილი შეიტანა სახელგანთქმულმა ბოსტონელმა მცველმა ბობი ორმა.

● მადრიდი, 16 მაისი. ევროპის მესტენდურეთა ჩემპიონატის მეორე ნაწილი — ადგილიდან სროლა ერთობ ცუდ ამინდში (ქარი, წვიმა) ჩატარდა. ვაჟთა შორის ერთნაირ შედეგებს (187-187 ქულა 200-დან) მიაღწიეს პოლონელმა სმელჩინსკიმ და ესპანელმა სანჩომ. დამატებითმა სერიამ წარმატება პოლონელს მოუტანა. მესამე პრიზიორი გახდა ფრანგი კარეგა — 185 ქულა. ტურნირში ორი საბჭოთა მესტენდურეც მონაწილეობდა, მაგრამ ისინი პირველ ხუთეულში ვერ მოხვდნენ. გუნდურ ჩათვლაში გაიმარჯვეს ესპანელებმა, II ადგილზე გავიდნენ პოლონელები, III — ფრანგები.

● ლაროშელი (საფრანგეთი), 16 მაისი, აქ მიმდინარეობს ევროპის ჩემპიონატი ახალ ოლიმპიურ კლასში „ტემპესტში". ოთხი რბოლის შემდეგ ლიდერობას ინარჩუნებს საბჭოთა აფროსნების მანკინისა და დირდირას ნავი. მათ 19 საჯარიმო ქულა დაუგროვდათ, მაშინ, როცა II ადგილზე მყოფ პოლონელებს ხოლცსა და რუდკოვსკის — 30,7 ქულა (პოლონელებმა მეოთხე რბოლა მოიგეს).

● ხენგელო, 16 მაისი. ჰოლანდიის ამ ქალაქში მიმდინარეობს „დიდი ოლიმპიური ტურნირი" საერთაშორისო შაშში. ბოლო ორ დღეს შეჯიბრების ლიდერებმა მხოლოდ თითო პარტია ითამაშეს. კიეველმა კუპერმანმა ყაიმით დაამთავრა შეხვედრა ჰოლანდიელ ვირსმასთან. ყაიმით დამთავრდა საბჭოთა დიდოსტატების ანდრეიკოსა და განტვარგის IX ტურიდან გამოტოვებული პარტია. ორი პარტია ითამაშა ჰოლანდიელმა სეიბრანდსმა: XI ტურში მან მოუგო სურინამელ ალიარს, ხოლო XII ტურში ამერიკელი სმითის მედგარი წინააღმდეგობა გატეხა. სეიბრანდსს ახლა 9 ქულა აქვს 11-დან, ანდრეიკოს — 8,5 10-დან ამდენივე პარტიიდან ვირსმას 8 ქულა აქვს. 11 პარტიიდან 8 ქულა მოაგროვა განტვარგმა. კუპერმანსა და შვეიცარიელ კოუკენს 7-7 ქულა აქვთ, სენეგალელ ბაბა სისა და კანადელ დელორიეს — 6,5-6,5, სმითსა და ფრანგ იზარს — 6-6 (ყველას — 11-დან).

● ბუდაპეშტი, 16 მაისი. თანამედროვე ხუთჭიდის ცნობილმა უნგრელმა ოსტატმა, მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა ა. ბალცომ წლევანდელ სეზონში შესანიშნავად იასპარეზა საფრანგეთსა და დასავლეთ გერმანიაში. მან გადაწყვეტილი აქვს მოიგოს საერთაშორისო ტურნირი თავისი ქვეყნის დედაქალაქშიც, სადაც 12 ქვეყნის სპორტსმენები გამოდიან. მათ შორის არიან სსრ კავშირის წარმომადგენლებიც. ცხენოსნური კროსისა და ფარიკაობის შემდეგ ბალცოს 2002 ქულა აქვს და შეჯიბრების ლიდერია. მომდევნო სამ ადგილებზეც უნგრელები არიან. საბჭოთა ხუთჭიდელთაგან საუკეთესო — პ. ლედნიოვი 1930 ქულით VI ადგილზეა

## ახალი ამბები-72

# გამამდები მაგალითი

რუმინეთის ქალაქ კონსტანცაში მიმდინარე ევროპულ ჩემპიონატში თბილისელმა დ. შანიძემ კარგი მაგალითი მისცა ძალოსნებს, როცა მსოფლიო რეკორდების ნუსხა გახსნა.

მსუბუქი წონის ათლეტთა უკვე პირველივე მოძრაობაში — აჭიმვაში — მსოფლიო რეკორდი დამყარდა: ბულგარელმა მ. კუჩევმა 155 კგ აჩვენა და 1 კილოგრამით გააუმჯობესა თავისივე მასწინანდელი მიღწევა. კუჩევი შედარებით მოკრძალებული იყო ატაცში — 125 კგ. დაკარგულის ანაზღაურება მან აკვრაში სცადა. როცა 167,5 აკვრა, კუჩევმა ერთბაშად მოითხოვა 175 კგ, რაც ნიშნავდა, რომ იგი მსოფლიო რეკორდს დაამყარებდა როგორც ამ მოძრაობაში, ისე სამჭიდის ჯამშიც. მაგრამ ბულგარელი ამაოდ დაშვრა. ამ წონის დაძლევა მოინდომეს პოლონელმა ზ. კაჩმარეკმა და მოსკოველმა მ. კირჟინოვმაც, მაგრამ საწადელს ვერც მათ მიაღწიეს.

ჩემპიონის ოქროს მედალი მოიგო კუჩევმა — 447,5 კგ. მას 5 კილოგრამით ჩამორჩა კაჩმარეკი. ევროპის ჩემპიონატების დებიუტანტმა კირჟინოვმა 435 კგ დააგროვა და ბრინჯაოს დიდი მედალი დაიმსახურა.

ევროპისა და მსოფლიოს მრავალგზის, ოლიმპიური თამაშების ორგზის ჩემპიონი, პოლონელი ვ. ბაშანოვსკი? ძალოსნური სპორტის ვეტერანმა აჭიმვაში საწყისი წონა (145 კგ) ვერ დაძლია და, ცხადია, შეჯიბრებას გამოეთიშა.

ოთხი წონითი კატეგორიის ძალოსანთა ასპარეზობის შემდეგ საბჭოთა კოლექტივს 23 ქულა აქვს და დამაჯერებლად ლიდერობს გუნდურ ჩათვლაში.

# შ. ს. კილაძე



მოულოდნელად გარდაიცვალა სკკპ წევრი 1947 წლიდან, საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის უფროსი მასწავლებელი, ფიზიკური აღზრდისა და სპორტის ამაგდარი მუშაკი, რესპუბლიკის დამსახურებული მწვრთნელი შალვა (შოთა) სიმონის ძე კილაძე.

შ. კილაძე 1907 წელს დაიბადა. 1927 წელს მან ფიზკულტურის ინსტრუქტორად დაიწყო მუშაობა ჭიათურის მარგანეცის საბადოებში. შემდეგ მუშაობდა ქუთაისში, 1931 წლიდან კი საქართველოს ინდუსტრიულ ინსტიტუტში, სადაც სწავლობდა და მძლეოსნობაში მწვრთნელ-მასწავლებლის მოვალეობასაც ასრულებდა.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის დაარსების დღიდან შ. კილაძე 34 წლის მანძილზე მძლეოსნობის კათედრის უფროსი მასწავლებელი იყო.

შ. კილაძემ წარმატებით დაამთავრა ფიზკულტურის ცენტრალური ინსტიტუტი და მარქსიზმ-ლენინიზმის საღამოს უნივერსიტეტი.

იგი მრავალი წლის მანძილზე მეთაურობდა რესპუბლიკის მძლეოსანთა ნაკრებ გუნდში მტყორცნელთა აღზრდისა და მომზადების საქმეს, ამ უკანასკნელ ხანს კი საქართველოს პროფკავშირების ბავშვთა სპეციალიზებულ მძლეოსნურ სკოლაში მოღვაწეობდა.

შ. კილაძეს აღუზრდია არაერთი უძლიერესი სპორტსმენი, მათ შორის, სსრ კავშირის რეკორდსმენები, სპორტის ოსტატები, თანრიგოსნები. გარდა ამისა, შ. კილაძეს ეკუთვნის ბევრი სამეცნიერო ნაშრომი მძლეოსანთა სწავლების, წვრთნის მეთოდიკის საკითხებზე.

20-30-იან წლებში შ. კილაძე ჩვენი რესპუბლიკის ერთ-ერთი უძლიერესი სპორტსმენი იყო. იგი წარმატებით იცავდა ქუთაისის ღირსებას ფეხბურთში, მაგრამ განსაკუთრებულ შედეგებს მძლეოსნობაში მიაღწია: იყო საქართველოსა და ამიერკავკასიის რეკორდსმენი ბადროს ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, დიდი მიღწევები ჰქონდა სიმაღლეზე ხტომასა და მრავალჭიდში.

ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სპეციალისტების მომზადებაში დიდი დამსახურებისთვის შ. კილაძე დაჯილდოებული იყო მედლით „შრომითი წარჩინებისთვის", დიდი სამამულო ომის დროს კი მედლებით „კავკასიის დაცვისთვის" და „დიდ სამამულო ომში შრომითი წარჩინებისთვის". მასვე რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარებაში დამსახურებისთვის მიღებული ჰქონდა საქართველოს სსრ, უმაღლესი საბჭოს, საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის, საკავშირო სპორტკომიტეტის საპატიო სიგელები და „წარჩინებული ფიზკულტურელის" სამკერდე ნიშანი. შ. კილაძის სახელი საქართველოს სპორტკომიტეტის საპატიო წიგნშია შეტანილი. მას ერთ-ერთ უპირველესს მიენიჭა საქართველოს სსრ დამსახურებული მწვრთნელის საპატიო წოდება.

შ. კილაძე აქტიურად მონაწილეობდა საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებაში, იყო მძლეოსნობაში მწვრთნელთა საბჭოს წევრი, მძლეოსნობის კათედრის პარტჯგუფორგი.

შრომისმოყვარე, თავდადებული, უაღრესად სპეტაკი ადამიანი, ახალგაზრდობის ჭეშმარიტად დიდი მეგობარი და აღმზრდელი — ასეთი იყო შ. კილაძე.

საქართველოს ფიზიკური კულტურისა და სპორტის კომიტეტი.
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტი.
მძლეოსნობის რესპუბლიკური ფედერაცია.

# გ. თ. ბახუტაშვილი



ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ავიაციის ვეტერანი, საქართველოში საპარაშუტო სპორტის პიონერი, სპორტის ოსტატი, საქართველოს სსრ ავიაციის ფედერაციის თავმჯდომარის მოადგილე საპარაშუტო დარგში, თბილისის საოლქო ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოების წევრი, თადარიგის მაიორი გიორგი თევდორეს ძე ბახუტაშვილი.

გ. ბახუტაშვილი დაიბადა 1914 წელს სიღნაღში. 1935 წელს მან დაამთავრა თბილისის პარაშუტისტთა სკოლა, სადაც ინსტრუქტორ-პარაშუტისტის წოდება მიიღო.

საბჭოთა კავშირის სამხედრო ძალებს გ. ბახუტაშვილმა ასობით პარაშუტისტი მოუმზადა.

1938 წლიდან იგი სკკპ რიგებშია.

1941 წლიდან გ. ბახუტაშვილი დიდ სამამულო ომში გაიწვიეს, სადაც დივიზიის საპარაშუტო-სადესანტო სამსახურის უფროსი იყო. 1944 წელს მას საპარაშუტო დარგში სპორტის ოსტატის წოდება მიანიჭეს.

სამამულო ომში გ. ბახუტაშვილი წითელი დროშისა და წითელი ვარსკვლავის ორდენებით დაჯილდოვდა. გარდა ამისა, მიღებული აქვს შვიდი საბრძოლო მედალი.

1945 წლიდან 1958 წლამდე იგი საბჭოთა კავშირის საზღვაო ფლოტის ერთ-ერთი სამსახურის უფროსად მსახურობდა.

1958 წელს გ. ბახუტაშვილი თადარიგში გავიდა და დღემდე სხვადასხვა საპასუხისმგებლო საზოგადოებრივ სამუშაოს ასრულებდა.

გ. ბახუტაშვილი იყო გულისხმიერი ადამიანი, კარგი მეგობარი, შესანიშნავი საბჭოთა ოფიცერი.

თბილისის ოლქის ოფიცერთა სახლთან არსებული სამხედრო-სამეცნიერო საზოგადოება.
ავიაციის რესპუბლიკური ფედერაცია.

რედაქტორი შ. კაკაბაძე.

საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში 22-31 მაისს ჩატარდება ათდღიანი სემინარები პიონერთა ბანაკების ფიზკულტურის მასწავლებლებისა და ცურვის ინსტრუქტორებისთვის.

დასაწყისი 17 ს.

რექტორატი.

19 მაისს

უმაღლესი სპორტული ოსტატობის № 1 რესპუბლიკურ სკოლაში (ორჯონიკიძის ქ. № 52) გაიმართება საქართველოს სამთოსათხილამურო სპორტის ფედერაციის სხდომა.

დასაწყისი 15 ს.

„ლოკომოტივის" სტადიონი
(ი. ჭავჭავაძის პრ. № 74)




უმაღლესი ლიგა

„დინამო" (თბილისი) —
„ზარია" (ვოროშილოვგრადი)

19 მაისს
სათადარიგო შემადგენლობანი

20 მაისს
ძირითადი შემადგენლობანი

მატჩების დასაწყისი 19 ს.
ბილეთების წინასწარი გაყიდვა: ორგანიზაციებში — 18 და 19 მაისს, აბონემენტებზე— 18 და 19 მაისს 12-დან 19 საათამდე სტადიონის სალაროებში. საერთო გაყიდვა — 20 მაისს 10 საათიდან.

# ხელბურთელთა XI საკავშირო

ჩემპიონატების მორიგი მატჩები გამართეს როგორც ქალთა, ისე ვაჟთა გუნდებმა.

### ზაპოროჟიეში

16 მაისს ჩატარდა ვაჟთა ჩემპიონატის პირველი წრის I ტურის შეხვედრები. თბილისის „მეტრეველსტანიკმა" ალმაველობით ითამაშა ტაშკენტელ თანაკლუბელებთან და გაიმარჯვა — 21:13. ერთობ დაძაბულად წარიმართა მოსკოვის საავიაციო ინსტიტუტისა და ცსკა-ს გუნდების შეხვედრა. უპირატესობას ვერც ერთმა მხარემ ვერ მიაღწია — 13:13.

### კაუნასში

ქალთა გუნდების ჩემპიონატის დასკვნითი, მესამე წრის სანი ტურის შეხვედრები გაიმართა. გთავაზობთ ტექნიკურ შედეგებს. დღე პირველი. მინათმშენებლობის № 3 კომბინატი (კიევი) — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი (სვერდლოვსკი) 15:8, „კალინინეცი" (სვერდლოვსკი) — „სპარტაკი" (ბაქო) 10:14, „ლუჩი" (მოსკოვი) — „ტექნოლოგი" (ძრობსკი) 20:11, „ჟალგირისი" (კაუნასი) — „სპარტაკი" (კიევი) 8:12; დღე მეორე. „კალინინეცი" — ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი 11:9, „სპარტაკი" (ბაქო) — „ტექნოლოგი" 15:7, მინათმშენებლობის № 3 კომბინატი — „სპარტაკი" (კიევი)12 :12, „ჟალგირისი" — „ლუჩი" 8:13; დღე მესამე. ურალის პოლიტექნიკური ინსტიტუტი — „სპარტაკი" (ბაქო) 10.10, „სპარტაკი" (კიევი) — „კალინინეცი" 13:8, მინათმშენებლობის № 3 კომბინატი — „ლუჩი" 16:11, „ტექნოლოგი" — „ჟალგირისი" 11:13.

ლიდერთა სამეული ასეთია: კიევის „სპარტაკი"—33 ქულა, ბაქოს „სპარტაკი" — 27, მოსკოვის „ლუჩი" — 22.

ИНДЕКС 66448

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14.

უე 02587